ნოემბერი, 2022

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- 2022 წლის ოქტომბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 10.4%-ს გაუტოლდა, რაც ძირითადად განპირობებულია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდით.
- ოქტომბერში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.
- ოქტომბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 42.4 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში.
- იანვარ-ოქტომბერში* ექსპორტმა 34.0%-ით, ხოლო იმპორტმა 33.3%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 15,228 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- ოქტომბერში* ფულადმა გზავნილებმა 502.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 59.6%) და ევროკავშირის ქვეყნები (18.3%) წარმოადგენდნენ.
- ნოემბერში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 4,637 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით.
- ოქტომბერში*, წინა თვესთან შედარებით, შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.
- ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.1%-ით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 1.7%-ით გაუფასურდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



ოქტომბერში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 8.3%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის ოქტომბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.3% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] -0.3% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 10.4%-ს შეადგენს.

წინა წლის ნოემბერთან მიმართებით, 2022 წლის ნოემბერში ინფლაციის დონე 10.4%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, ტრანსპორტზე, სასტუმროებზე, კაფეებზე, რესტორნებზე და სხვა. ნოემბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 7.2%-ით განისაზღვრა. 2022 წლის ოქტომბერში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 9.8% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.

ოქტომბერში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის ოქტომბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 35.3%-ით, ხოლო ხარჯები 9.8%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 299.9 მლნ ლარით, ხოლო ასევე დადებითი მთლიანი სალდო 25.7 მლნ ლარით განისაზღვრა.





ოქტომბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.

წინა წლის ოქტომბერთან მიმართებით, 2022 წლის ოქტომბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 3.9%-ით მოიმატა და 42.4 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 18.2%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 3.8%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.4%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 21.2% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.8% - მრეწველობის, 18.2% - მშენებლობის, 14.7% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.1% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



იანვარ - ოქტომბერში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.

კერძოდ, ექსპორტმა 34.0%-ით, ხოლო იმპორტმა 33.3%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 33.5%-ით გაიზარდა და 15,228 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.9%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: პერუში (830.9%-ით, აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მკვეთრი ზრდის ხარჯზე), აგრეთვე ყაზახეთში (136.4%-ით), სომხეთში (114.6%-ით), ბულგარეთში (88.1%-ით), აშშ-ში (71.1%-ით), თურქეთში (45.5%-ით). ამ პერიოდში შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (13.4%-ით). საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ელექტროენერგიის (455.4%-ით), აზოტოვანი სასუქების (190.0%-ით), მსუბუქი ავტომობილების (77.2%-ით), სპილენძის მადნების (28.4%-ით), ფეროშენადნობის (18.5%-ით), სამკურნალო საშუალებების (14.4%-ით), ღვინის (6.2%-ით) ჯგუფებში.





ოქტომბერში* ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის ოქტომბერში* საქართველოში ფულადი გზავნილები 142.9%-ით გაიზარდა და 502.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ოქტომბერში* გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 59.6%) და ევროკავშირის ქვეყნები (18.3%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ბელარუსიდან (1,162.9%-ით), რუსეთიდან (725.6%-ით), სომხეთიდან (345.8%-ით), ტაჯიკეთიდან (269.6%-ით), ყირგიზეთიდან (163.7%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (134.9%-ით), უზბეკეთიდან (87.7%-ით), ნიდერლანდებიდან (61.4%-ით), ირლანდიიდან (51.3%-ით) და სხვა.



2022 წლის ნოემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 4,637 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2022 წლის ნოემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,637 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 18.0%-ით, წინა თვესთან მიმართებით კი 5.7%-ით მეტი.

2022 წლის ნოემბრის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციები არ განხორციელებულა.





2022 წლის ნოემბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის ნოემბერში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 471,165 შეადგინა, რაც 160.4%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც ნოემბრის თვეში 417,184 იყო (ზრდა წინა წლის ნოემბრის ანალოგიურ მაჩვენებელთან 150.5%). ნოემბერში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა რუსეთიდან (108,247. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 362.1%-ით), თურქეთიდან (101,940. ზრდა 212.9%-ით), სომხეთიდან (71,785. ზრდა 272.1%-ით),

2022 წლის ოქტომბერში* შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 337.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 137.1%-ით მეტია 2021 წლის ოქტომბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

ოქტომბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის ოქტომბერში* სარეზერვო ფულის მასა 5.3%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 14.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 7.4%-ს გაუტოლდა. ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 10.4% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება



დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი, %)



ოქტომბერში*, წინა თვესთან შედარებით, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა.

2022 წლის ოქტომბერში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.08%-ული პუნქტით შემცირდა და 56.5%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.58%-ული პუნქტით მოიკლო და 44.6% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2022 წლის ოქტომბერში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.1%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 0.3%-ით შემცირდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი, %)





ოქტომბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.2%-ული პუნქტით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.4%-ული პუნქტით გაიზარდა.

2022 წლის ოქტომბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.3% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.7%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2022 წლის ოქტომბრის* მდგომარეობით 5.6% შეადგინა, 0.8%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის ოქტომბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად (11.0%) დატოვა.

ნოემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარების, ხოლო ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

2022 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.1%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 1.7%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 2.3%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის ნოემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 15.0%-ით, ევროს მიმართ 29.0%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 104.6%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

ნოემბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, 2022 წლის ნოემბერში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 84.4% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (8.8%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2022 წლის ოქტომბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 15.6%-ით, ხოლო რუსეთში 12.6%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, ნოემბერი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
ნოემბერი, 2022



ნოემბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.
კერძოდ, 2022 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა სომხური დრამი (20.8%-ით), რუსული რუბლი (19.3%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით), ხოლო თურქული ლირა (43.8%-ით) გაუფასურდა.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		ნოე 21	დეკ 21	იან 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	12.0	9.6	18.0	14.6	10.6	2.6	11.6	7.2	9.7	10.5	8.8	8.3	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	32.6	31.2	39.8	27.3	24.4	11.7	25.3	20.4	21.9	23.0	19.5	14.8	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	12.5	13.9	13.9	13.7	11.8	12.8	13.3	12.8	11.5	10.9	11.5	10.6	10.4
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.0	10.5	10.5	10.5	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.4	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.1	3.1	3.1	3.0	3.2	3.1	3.0	3.0	2.8	2.8	2.9	2.8	2.7
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	207,337.5	229,487.0	168,840.5	183,418.8	193,065.3	308,140.1	505,708.1	427,354.6	306,023.4	334,266.1	387,177.7	501,998.8	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	430.4	419.5	331.3	429.0	411.4	415.7	522.6	448.5	542.2	473.3	523.2	448.8	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,033.4	1,050.8	801.0	1,019.2	925.9	992.8	1,180.8	1,109.1	1,173.6	1,264.8	1,090.8	1,124.4	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-603.0	-631.3	-469.7	-590.1	-514.5	-577.0	-658.1	-660.6	-631.4	-791.5	-567.7	-675.7	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,928.5	4,272.1	4,078.1	3,992.9	4,030.6	3,826.4	3,855.2	3,922.4	4,156.7	4,260.7	4,313.1	4,385.6	4,636.7
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1,420.0	1,707.4	1,485.1	1,292.1	1,731.5	1,263.2	1,697.9	1,707.5	1,424.4	1,356.2	1,680.6	1,730.1	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,256.0	1,934.4	1,185.8	1,226.2	1,413.1	1,350.9	1,377.3	1,277.2	1,510.8	1,158.4	1,312.9	1,430.2	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	296.6	798.8	193.9	218.0	304.2	230.5	266.1	445.9	327.5	403.4	624.5	287.1	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[2]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ნოე 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ნოე 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.